საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9322/01
30/09/2020

9322-01-2-202009301513

შპს „ეკოპეტროლს“
მის: *ქ. თბილისი, ივანე სარიშვილის ქ. №31*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 21 სექტემბრის №14877 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. კაჭრეთში შპს „ეკოპეტროლის“ 62 m^3 ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 51.20.63.052) საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, არის შპს ,,ჯორჯიან გაზი +”-ის საკუთრებაში, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ-დასავლეთით 165 მეტრის დაშორებით მდებარეობს სასტუმრო ,,ამბასადორი კაჭრეთი“, მაგრამ ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიასა და სასტუმროს საკადასტრო საზღვრებს შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 98 მეტრს; ამასთან განცხადებაში აღნიშნულია, რომ ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 1000 მეტრზე მეტი მანძილით, ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 650 მეტრში ფიქსირდება დასახლება, შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს რედაქტირებას;
- საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიის მომიჯნავედ აღმოსავლეთით ფიზიკური პირის გელა ქიტოშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, ხოლო ტერიტორიის სამხრეთით ფიზიკური პირი ალექსანდრე გეთიაშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ასევე განთავსებულია შენობა-ნაგებობა, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება;

- ნავთობპროდუქტების ავარიულად დაღვრის საკითხები, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურებისა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის მართვის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ავტოგასამართი მოედნის გადახურვის შესახებ;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკის შესახებ ინფორმაცია, ავტოგასამართი სადგურის უსაფრთხოების საკითხები;

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო აღნიშნულ პროექტზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე